



დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

## საქართველო

რიგბარეშე საკრეზიდენტო არჩევნები

2004 წლის 4 იანვარი

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების  
ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის ანგარიში



ვარშავა  
28 თებერვალი, 2004 წელი

# სარჩევი

I. ზოგადი დასკვნები .....	2
II. შესავალი და მაღლიერება .....	4
III. პოლიტიკური ფონი .....	6
IV. საკანონმდებლო ჩარჩო .....	7
ა. გამოყენებული კანონმდებლობა და ზოგადი საარჩევნო დებულებები .....	7
ბ. შეფასება .....	8
V. საარჩევნო ადმინისტრაცია .....	9
ა. ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ქვემდებარე ორგანოების სტრუქტურა და უმაღლესობა .....	9
ბ. არჩევნების ორგანიზება .....	11
გ. კანდიდატების რეგისტრაცია .....	13
დ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია .....	13
1. წინასწარი რეგისტრაცია .....	13
2. ამომრჩეველთა რეგისტრაცია არჩევნების დღეს .....	15
3. რეგისტრაცია და ხმის მიცემა საზღვარგარეთ .....	16
4. რეგისტრაციის შედეგების გამოქვეყნება .....	16
VI. კამპანია .....	16
VII. მედია .....	18
ა. რეგულირება და ზოგადი გარემო .....	18
ბ. მედიის მონიტორინგი .....	18
VIII. არჩევნებთან დაკავშირებული დავები .....	20
IX. გენდერის საკითხები .....	21
X. ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა .....	21
XI. სამოქალაქო საზოგადოება / ადგილობრივი დაგვირგობები .....	22
XII. ხმის მიცემა, ხმების დათვლა და შეჯამება .....	23
ა. ზოგადი შეფასება .....	23
ბ. ხმის მიცემის პროცედურები .....	24
გ. ხმების დათვლა .....	26
დ. შედეგების შეჯამება .....	27
XIII. არჩევნების უმადგომი მოვლენები და შედეგები .....	28
XIV. რეკომენდაციები .....	29
ა. საკანონმდებლო ჩარჩო .....	29
ბ. საარჩევნო ადმინისტრაცია .....	29
გ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია .....	30
დ. საარჩევნო კამპანია და მედია .....	31
ე. ეროვნული უმცირესობები .....	32
ვ. ადგილობრივი დაგვირგობები .....	32
ზ. არჩევნების დღე .....	32
თ. აჭარა .....	32
ი. ზოგადი რეკომენდაციები .....	33

**საქართველო**  
**რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები**  
**4 იანვარი, 2004 წელი**

**ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების**  
**ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის საბოლოო ანგარიში<sup>1</sup>**

**I. ზოგადი დასკვნები**

საქართველოში 2004 წლის 4 იანვარს გამართული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები აღინიშნა შესამჩნევი პროგრესით წინა არჩევნებთან შედარებით და, რამოდენიმე ასპექტში, მიაახლოვა ქვეყანა ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებებისა და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესრულებასთან.

განსხვავებით 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისაგან, რომლებიც სისტემატური და ფართოდ გავრცელებული გაყალბებით ხასიათდებოდა,<sup>2</sup> ხელისუფლებამ ზოგადად გამოავლინა კოლექტიური პოლიტიკური ნება ჩაეტარებინა უფრო ჭეშმარიტი დემოკრატიული საარჩევნო პროცესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამომრჩეველთა ხელახალი აღრიცხვა, რადგანაც მან ხელი შეუწყო საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებას.

მიუხედავად ამისა, იმ განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის მიზეზი გახდა, აგრეთვე ჭეშმარიტად კონკურენტული პოლიტიკური გარემოს არარსებობისა და მჭიდრო საარჩევნო ვადების გამო, 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები უფრო კარგი ინდიკატორი იქნება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არის საქართველო დემოკრატიული არჩევნების პრინციპის ერთგული.

მართალია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დასაფასებელი ძალისხმევა გასწია, რათა არჩევნების ადმინისტრირება სანდოდ და პროფესიონალურად განეხორციელებინა და საარჩევნო ადმინისტრაცია ქებას იმსახურებს გულმოდგინე შრომისათვის არსებულ პირობებში, მაგრამ დროის დეფიციტმა შეზღუდა ადმინისტრაციული წინსვლის მასშტაბი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომლის მიღება საჭიროდ იქნა მიჩნეული, რათა შესაძლებელი გამხდარიყო არჩევნების გამართვა ამ დეფიციტის პირობებში, შესაძლოა არ იყოს სასურველი პრეცედენტი საქართველოში მომავალი არჩევნების ჩასატარებლად.

<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს ანგარიში თარგმნილია ქართულად, ინგლისური ვარიანტი არის ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი.

<sup>2</sup> იხილეთ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საბოლოო ანგარიში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, 1-ლი ნაწილი, 2004 წლის 28 იანვარი.

სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულმა პოლიტიკურმა დისბალანსმა, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიამ ვერ შეძლო შესაფერისი დისტანციის დაცვა საარჩევნო პროცესის მონაწილეებისაგან. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული რესურსების არადანიშნულებისამებრ გამოყენება მხოლოდ ერთი კანდიდატის სასარგებლოდ იმის მანიშნებელია, რომ კვლავაც არ არის ერთმანეთისაგან გამოჯნული სახელმწიფო ადმინისტრაცია და პოლიტიკური პარტიების სტრუქტურები.

არჩევნების დღეს, ხმის მიცემა ზოგადად ამაღლებულ და მშვიდ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეთა პროცენტი საკმაოდ მაღალი იყო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (აჭარა) გამოკლებით. საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩეველთა მომსახურებას შედარებით ეფექტიანად ახარებდნენ. საარჩევნო უბნების უმეტეს ნაწილში ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა რეგისტრაციას არჩევნების დღეს და მათი პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამოწმების წესებს, უმეტეს შემთხვევებში, გულმოდგინედ არსულებდნენ.

თუმცა, არჩევნების დღეს წარმოიშვა ზოგიერთი პრობლემატური ტენდენციაც. დათვალიერებული საარჩევნო უბნების 30%-ში დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ზოგიერთ ამომრჩეველს უარი ეთქვა ხმის მიცემის უფლების განხორციელებაზე, რადაგანაც ისინი არ აკმაყოფილებდნენ საცხოვრებელი ადგილის მოთხოვნას ან არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტები. მრავალჯერადი ხმის მიცემის აღსაკვეთად ამომრჩეველთა მარკირების ეფექტიანობა გარკვეულწილად შემცირდა არათანამიმდევრული გამოყენების გამო. ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესი გაუმჯობესდა ნოემბრის არჩევნებთან შედარებით, მაგრამ მრავალ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიას პრობლემებს უქმნიდა ხმების დათვლის რთული პროცედურები და შედეგების ოქმები. ქვემო ქართლში კვლავაც აღინიშნა დარღვევები, მათ შორის ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა და ოქმების ჩასწორება.

მთლიანობაში, პოზიტიური ცვლილება საარჩევნო პროცესში შემდეგ ელემენტებს მოიცავდა:

- ◆ საკანონმდებლო ჩარჩოსა და პროცესის ადმინისტრირების გაუმჯობესება;
- ◆ უფრო გამჭვირვალე, პროფესიონალური და ღია ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- ◆ ამომრჩეველთა სიების გაუმჯობესებისაკენ მიმართული სანაქებო ძალისხმევა;
- ◆ მედიის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხი, აჭარის გამოკლებით;
- ◆ მეტწილად მშვიდობიანი და თავისუფალი წინასაარჩევნო პერიოდი, თუმცა აქტიური კამპანია იშვიათად წარმოებდა;

- ◆ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსახილველად მიღებული რამოდენიმე საქმის გადაწყვეტა კანონით დადგენილ ვადებში და აშკარა მიკერძოების გარეშე;
- ◆ არჩევნებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ზრდისაკენ მიმართული ძალისხმევა, მათ შორის ორენოვანი ბიულეტენების დაბეჭდვა;
- ◆ ზოგადად პოზიტიური და მშვიდობიანი ატმოსფერო არჩევნების დღეს;
- ◆ ხმების დათვლისა და შეჯამების გაუმჯობესებული პროცესი.

თუმცა, პროცესის ზოგიერთი ასპექტი ყურადღებას მოითხოვს, რათა მოგვარდეს საკითხები, რომლებიც შეშფოთებას იწვევს და გაგრძელდეს წინსვლა. ეს ასპექტებია:

- ◆ კვლავაც არ არსებობს სახელმწიფო ადმინისტრაციისა და პოლიტიკური პარტიების სტრუქტურების მკაფიო გამიჯნვა და შენარჩუნებულია სახელმწიფო ადმინისტრაციის რესურსების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ტენდენცია;
- ◆ პოლიტიკური დისბალანსი ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის შემდგენლობაში და ზოგიერთი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის უუნარობა შენარჩუნებინა მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა;
- ◆ ამომრჩეველთა არაზუსტი და არასრული აღრიცხვა მიუხედავად მისი გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევისა;
- ◆ შედეგების შემაჯამებელი რთული ოქმები და რთული პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხა ეფექტიანი ადმინისტრირება პროცესის ამ ეტაპზე;
- ◆ აჭარის ხელისუფლებამ არ გამოავლინა ნება შეექმნა ამ რეგიონში სრულფასოვანი დემოკრატიული არჩევნებისათვის აუცილებელი პირობები;
- ◆ შემცირებული ყურადღება ადგილობრივი დამკვირვებლების მხრიდან, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს.

ეთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზად არის დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის შემორჩენილი ნაკლოვანებების განხილვაში და მხარი დაუჭიროს მის ძალისხმევას მოავაროს ეს მნიშვნელოვანი საკითხები, რათა ჩაატაროს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები.

## II. შესავალი და მაღლიერება

2003 წლის 8 დეკემბერს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოწვევით, ეთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა შექმნა საარჩევნო დამკვირვებელთა მისია საქართველოში 4 იანვრის რიგვარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე მეთვალყურეობის განსახორციელებლად. მას სათავეში ჩაუდგა ბატონი კრეიგ ჯენესი (კანადა).

საარჩევნო დამკვირვებელთა მისია მოიცავდა 38 საარჩევნო ექსპერტსა და გრძელვადიან დამკვირვებელს, აგრეთვე ადგილობრივ ექსპერტებსა და დამხმარე თანამშრომლებს, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში. დაახლოებით 8 კვირის მანძილზე, მისია აკვირდებოდა საარჩევნო მზადების, კამპანიის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პროცესების ყველა ასპექტს. ის აგრეთვე აკვირდებოდა განმეორებით ხმის მიცემასა და ნოემბრის არჩევნების მეორე ტურს 15 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. დამკვირვებლები არ მივლინებულან აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ ნაწილში, სადაც არჩევნები არ გაიმართა.

არჩევნების დღეს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიას შეუერთდნენ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის პარლამენტის წარმომადგენლები, რის შედეგადაც შეიქმნა საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია. ბატონი ბრიუს ჯორჯი (ბრიტანეთი), ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, კვლავ დაინიშნა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის მიერ სპეციალურ კოორინატორად ეუთო-ს მოკლევადიანი დამკვირვებლების სახელმძღვანელოდ. ბატონი მათიას იორში (უნგრეთი) სათავეში ედგა ევროპის საბჭოს საპარლამენტო დელეგაციას, ხოლო ბატონი დემეტრიო ვოლჩიჩი (იტალია) ევროპის პარლამენტის დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

არჩევნების დღეს, საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიამ მიაღწინა 450 მოკლევადიანი დამკვირვებელი ეუთო-ს წევრი 38 სახელმწიფოდან, მათ შორის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 22 წევრი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 13 წევრი და ევროპის პარლამენტის სამი წევრი. ევროპის საბჭოს სამდივნომ დამატებით 23 დამკვირვებელი გამოგზავნა. ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების საელჩოებმა და დიპლომატიურმა მისიებმა თბილისში მრავალი წარმომადგენელი მოავლინეს, როგორც მოკლევადიანი დამკვირვებელი. არჩევნების დღეს, საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია მეთვალყურეობდა ხმის მიცემასა და ხმების დათვლას 1314 საარჩევნო უბანში საქართველოში არსებული 2850 საარჩევნო უბნიდან და აგრეთვე არჩევნების შედეგების შეჯამებას 42 საოლქო საარჩევნო კომისიაში 75-დან.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს სურს მადლობა გადაუხადოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, პრეზიდენტის აპარატს და ხელისუფლების სხვა ორგანოებს მმართველობის ყველა დონეზე გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის მისიის მუშაობის პროცესში. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს აგრეთვე სურს გამოხატოს მადლიერება საქართველოში ეუთო-ს მისიის, მისი მეთაურის ელჩ როი რივის და საქართველოში აკრედიტებული ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების საელჩოებისა და დიპლომატიური მისიების მიმართ. მას აგრეთვე სურს მადლობა უთხრას მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთვარობო ორგანიზაციას გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

### III. პოლიტიკური ფონი

2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები იყო მეოთხე საპრეზიდენტო არჩევნები მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წელს. ფართო საზოგადოების მიერ ეს არჩევნები განიხილებოდა, როგორც გამოცდა ახალი ხელისუფლებისათვის, რომელსაც უნდა ეჩვენებინა დემოკრატიული საარჩევნო პროცესისადმი საკუთარი ერთგულების ხარისხი. მრავალი ადამიანის აზრით, არჩევნები აგრეთვე იყო სახალხო რეფერენდუმი „ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი 22-23 ნოემბრის მოვლენების და მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურის თაობაზე.

არჩევნები გაიმართა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ფონზე, რომლებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა მთავრობის მხრივ ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ნების არარსებობამ, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა ფართოდ გავრცელებულ და სისტემატურ გაყალბებას. გარდა არასანდო ამომრჩეველთა სიებისა, ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს საარჩევნო უბნებში, მათ შორის ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრას, წინასწარ მონიშნული ბიულეტენების გამოყენებას, მრავალჯერად ხმის მიცემას და საარჩევნო ყუთების განადგურებას. საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ და შედეგების შეჯამების დროს, საარჩევნო ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამდებობის პირი უშუალოდ მონაწილეობდა არჩევნების ყალბი შედეგების შედგენაში.

ამ ნაკლოვანებებმა გამოიწვია პოლიტიკური კრიზისი, ქუჩის საპროტესტო აქციები და არასტაბილური ატმოსფერო, რის შედეგადაც პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე 23 ნოემბერს თანამდებობიდან გადადგა. პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, გახდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. განხორციელდა მთავრობის რესტრუქტურისა და ბატონი ზურაბ ჟვანია სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა. ცხრა რეგიონის გუბერნატორიდან თანამდებობიდან გადადგა რვა და ისინი „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მხარდამჭერებმა შეცვალეს.

2003 წლის 25 ნოემბერს, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საპარლამენტო არჩევნების პროპორციული ნაწილის შედეგები. ამავე არჩევნების მაჟორიტარული ნაწილის შედეგები ძალაში დარჩა, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას.

ნოემბრის შედეგების ნაწილობრივ გაუქმების შედეგად, პარლამენტის 58-მა არჩეულმა წევრმა არ დაიკავა თავისი ადგილი დაუყოვნებლივ და 1999 წლის ნოემბერში არჩეული პარლამენტი ხელახლა შეიკრიბა. გარდა ამისა, 2004 წლის 4 იანვარს გაიმართა ხელახალი ხმის მიცემა ოთხ ადგილას და მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური 11 ოლქში. 9 იანვარს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა 150 საპარლამენტო მანდატისათვის პროპორციული არჩევნების თარიღად 28 მარტი დაადგინა.

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში პოლიტიკური გარემო მკვეთრად შეიცვალა, რადგანც პარტიებმა, რომლებიც სათავეში ედგნენ ნოემბრის მოვლენებს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“, განახორციელეს საკუთარი აღმასრულებელი ძალაუფლების კონსოლიდაცია. განსხვავებით მათგან, შევარდნაძის მომხრე კოალიცია „ახალი საქართველოსთვის“ დაიშალა. აგრეთვე დაიშალა ერთ დროს დომინანტი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა. წარსულში გავლენიანმა რამოდენიმე პარტიამ, მათ შორის ლეიბორისტულმა პარტიამ და „ახალმა მემარჯვენეებმა“, დაკარგა მხარდაჭერა ნოემბრის მოვლენებისაგან დისტანცირების შედეგად. დემოკრატიული აღორძინების კავშირი („აღორძინება“) ინარჩუნებს გარკვეულ გავლენას, მეტწილად აჭარაში, რომლის მეთაურიც პარტიის ლიდერი ბატონი ასლან აბაშიძეა. თუმცა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ, სხვა პარტიების მსგავსად, მასაც უჭირდა ახალ პოლიტიკურ რეალობთან და ახალ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ადაპტირება. ლეიბორისტულმა პარტიამ და „აღორძინებამ“ განაცხადეს საპრეზიდენტო არჩევნების „ბოიკოტირების“ განზრახვის შესახებ; თუმცა, „აღორძინების“ წარმომადგენლები ხშირად ესწრებოდნენ სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიების სხდომებს. აჭარაში არჩევნების ჩატარების საკითხი გაურკვეველი იყო 29 დეკემბრამდე. მას შემდეგაც კი, რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არჩევნების გამართვის შესახებ, იქ კვლავაც არ არსებობდა პირობები სრულფასოვანი დემოკრატიული საარჩევნო პროცესის ჩასატარებლად.

სამწუხაროდ, ისევე, როგორც 1991 წლის შემდგომ ჩატარებული ყველა არჩევნებისას, ხმის მიცემა არ გამართულა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დიდ ნაწილში. სამხრეთ ოსეთის ზოგიერთმა მკვიდრმა ხმა მისცა ლიახვისა და ქარელის საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე განლაგებულ საარჩევნო უბნებში. გალის (აფხაზეთი) ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ორ საარჩევნო ოლქში (წალენჯიხა და ზუგდიდი). კოდორის ხეობაში, აფხაზეთის ნაწილში, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, არჩევნები 11 იანვრისათვის გადაიდო ცუდი კლიმატური პირობების გამო. საარჩევნო დამკვირვებელთა მისიას იქ მეთვალყურეობა არ განუხორციელებია, რაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებით იყო გამოწვეული.

საერთაშორისო თანამეგობრობამ მნიშვნელოვანი თანხები და ტექნიკური დახმარება გამოყო საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, ძირითადად ეუთო-ს საარჩევნო დახმარების პროგრამის მეშვეობით. მართალია დონორების დახმარება საარჩევნო პროცესის საკმაოდ გვიან ეტაპზე იქნა გამოყოფილი, მაგრამ მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ამ არჩევნების გამართვაში. საქართველოს ხელისუფლებამ გამოხატა მადლიერება ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ გაწეული დახმარებისათვის.

#### IV. საკანონმდებლო ჩარჩო

##### ა. გამოყენებული კანონმდებლობა და ზოგადი საარჩევნო დებულებები



საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი აირჩევა თავისუფალი, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე და ფარული ხმის მიცემის გზით, ხუთი წლის ვადით. მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პარლამენტის სპიკერი ხდება პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 45 დღის ვადაში უნდა გაიმართოს. კონსტიტუციის მიხედვით, საჭიროა ამომრჩეველთა 50%-ის მონაწილეობა, რათა არჩევნები შედგეს, ხოლო პირველ ტურში გამარჯვებისათვის კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50% უნდა მიიღოს.

4 იანვრის არჩევნები ჩატარდა ერთიანი საარჩევნო კოდექსის მთელი რიგი ზოგადი და გარდამავალი დებულებების საფუძველზე. 29 ნოემბერს, მიღებულ იქნა მცირე შესწორებები ერთიან საარჩევნო კოდექსში, მათ შორის გასაჩივრების პროცედურების გამარტივება და ამომრჩეველთა მარკირების გამოყენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

დეკემბრის მიწურულს, ორმა მოქალაქემ გაასაჩივრა ერთიანი საარჩევნო კოდექსის ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული დებულებების კონსტიტუციურობა. 26 დეკემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა ამ დებულებების გამოყენება საქმის სრულად განხილვამდე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სხვა შედეგებთან ერთად, ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის შეზღუდვის გაუქმება დროებით მაინც.

22-23 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ის გაუქმდა 3 იანვარს, არჩევნების წინა დღეს, მაგრამ ხელახლა იქნა გამოცხადებული 7 იანვარს.

## ბ. შეფასება

ერთიანი საარჩევნო კოდექსი წარმოადგენდა გაუმჯობესებულ და კონსოლიდირებულ ჩარჩოს დემოკრატიული არჩევნებისათვის. მართალია 29 ნოემბერს მიღებული შესწორებები შეზღუდული ხასიათის იყო, მაგრამ ისინი შეფასდა, როგორც დადებითი ცვლილება. თუმცა, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ წარსულში წარმოდგენილი მთელი რიგი რეკომენდაციები არ გათვალისწინებულა.

ადგილი ჰქონდა გაურკვევლობას შესაფერისი საკანონმდებლო ჩარჩოს თაობაზე, რადგანც გარდამავალი დებულებები არ ითვალისწინებდა არც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს და არც ამომრჩეველთა ახალ სიებს. ეს დებულებები ძირითადად სპარლამენტო არჩევნებს ეხებოდა და არა საპრეზიდენტოს. მეტიც, შეუძლებელი იყო ზოგიერთი საკვანძო ძირითადი დებულების სრულად ამოქმედება მანამ, სანამ ახლადარჩეული პარლამენტი მუშაობას შეუდგებოდა. განსაკუთრებით შეუსაბამოდ გამოყურებოდა საარჩევნო ადმინისტრაციაში პოლიტიკურ ბალანსთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები. შეუძლებელი იყო მთელი რიგი საბოლოო ვადების დაცვა, მათ შორის ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული

ვადებისა. მიუხედავად ამისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოავლინა მოხერხებულობა და ადაპტაციის უნარი და ერთიანი საარჩევნო კოდექსი ზოგადად დაცული იყო - ფორმით ან არსით.

თუმცა, იყო გარკვეული გამონაკლისები. 30 დეკემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება მიეცა შეექმნა ადამიანების სპეციალური ჯგუფები, რომლებიც დახმარებას გაუწევდნენ საუბნო საარჩევნო კომისიებს არჩევნების დღეს. განცხადებული განზრახვა იყო ის, რომ უზრუნველყოთ კვროში საუბნო საარჩევნო კომისიებში და სათანადო ადმინისტრირება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა ბოიკოტს საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან ან გაჩნდებოდა დამატებითი სამუშაო არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის გამო. ამ ღონისძიების საკანონმდებლო საფუძველი გაურკვეველი დარჩა და არ გამოყენებულა რაიმე პროცედურები ან დამცავი ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ ამ მექანიზმის ბოროტად გამოყენება და უზრუნველყოთ მისი გამჭვირვალობა.

ერთიანი საარჩევნო კოდექსი არ განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა გამოთვლილიყო არჩევნების შემდგარად ცნობისათვის და პირველ ტურში გამარჯვებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობის ზღვარი და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეს საკითხი არჩევნებამდე არ დაუზუსტებია. ეს საკითხები მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა მოგვარდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა და უსამართლობა, განსაკუთრებით საპარლამენტო მანდატების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ სახლემწიფოს პრეზიდენტს აქვს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება. აქედან გამომდინარე, მეტად საკამათო იყო აჭარაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და მოქალაქეთა და მედიის უფლებებზე დაწესებული შეზღუდვები. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საკონსტიტუციო სასამართლოში იქნა გასაჩივრებული, მაგრამ ეს საქმე ჯერ არ განხილულა.

## V. საარჩევნო ადმინისტრაცია

### ა. ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ქვემდებარე ორგანოების სტრუქტურა და უმადგენლობა

საარჩევნო ადმინისტრაცია სამ ღონეს მოიცავდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია, 75 საოლქო საარჩევნო კომისია და 2850 საუბნო საარჩევნო კომისია. კანონის თანახმად, უბანზე შეიძლება იყოს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 2000 ამომრჩეველი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოები იყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნიშნავდა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს. მართალია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააწესა მარეგულირებელი ჩარჩო, მაგრამ თითოეული საოლქო საარჩევნო კომისია ფლობდა ფართო

ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას საკუთარ ოლქში. საუბნო საარჩევნო კომისიები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიებს. თითოეულ დონეზე სხდომების დასაწყებად კომისიის წევრთა უმრავლესობის დასწრება იყო აუცილებელი. გადაწყვეტილებები მიიღებოდა დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერდა კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის სულ მცირე ერთი მესამედი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებების მისაღებად, რომლებიც მისი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები იყო, წევრთა ორი მესამედის მხარდაჭერა იყო საჭირო.

საარჩევნო კომისიები პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრებისაგან შედგებოდა და მმართველ პარტიებს დომინანტური პოზიცია ეკავათ, ძირითადად პრეზიდენტის მიერ დანიშნულ წევრთა კვოტის წყალობით. ერთიანი საარჩევნო კოდექსის დებულებების თანახმად, რომლებიც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიქმნა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 15 წევრი იყო და ისინი 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2002 წლის თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების საფუძველზე ინიშნებოდნენ. თავმჯდომარეს ნიშნავდა პრეზიდენტი ეუთო-ს წარდგინებით. ეს დებულებები გამოყენებულ იქნა რიგვარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს იმ განსხვავებით, რომ, ერთიან საარჩევნო კოდექსში 29 ნომბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტმა წარადგინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და პარლამენტმა დაამტკიცა იგი ხმათა უმრავლესობით.

შედეგად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა 4 იანვრის არჩევნებისათვის ასეთი იყო:

- ◆ თავმჯდომარე, რომელიც წარადგინა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა და დაამტკიცა პარლამენტმა;
- ◆ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დანიშნული 5 წევრი;
- ◆ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ დანიშნული 2 წევრი;
- ◆ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მიერ დანიშნული 1 წევრი;
- ◆ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული 1 წევრი;
- ◆ ლეიბორისტული პარტიის მიერ დანიშნული 1 წევრი;
- ◆ „ახალი მემარჯვენეების“ მიერ დანიშნული 1 წევრი;
- ◆ „აღორძინების“ მიერ დანიშნული 3 წევრი.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა იგივე იყო, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიის ფორმირება მინიმუმ 9 წევრით შეიძლება.

30 ნომბერს, ბატონი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც მანამდე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი იყო, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა. ამას წინ უძღოდა ყოფილი თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის, გადადგომა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა

დანიშნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხუთი ახალი წევრი პრეზიდენტის კვოტით.

შედგავდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა ორი მესამედი (15 წევრიდან 10<sup>3</sup>) ახლადშექმნილი მთავრობის წევრების ან მისი მხარდამჭერების მიერ იყო დანიშნული. ასეთი მიდგომა შესაძლოა პრაგმატულ მოსაზრებას ემყარებოდა, რაც განპირობებული იყო ყოფილი სახელისუფლებო პარტიის (მოქალაქეთა კავშირის) დაშლით და საარჩევნო ორგანოების პარალიზების თავიდან აცილების აუცილებლობით. თუმცა, ივლისში მიღებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმულის სულისკვეთება, რაც პოლიტიკურად უფრო დაბალანსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნას გულისხმობდა, კვალავც არ იქნა დაცული. ლეგორისტული პარტიისა და „აღორძინების“ ნაწილობრივმა ბოიკოტმა, ან მათ მიერ წევრების არდანიშვნამ, კიდევ უფრო გააღრმავა დისბალანსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

საშუალო დონის კომისიებში თანამშორმლების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცვალა, რაც მათი წარსული საქმიანობით იყო ახსნილი. 49 ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები ოფიციალურად გადადგნენ თანამდებობიდან და აგრეთვე განთავისუფლდა საოლქო საარჩევნო კომისიების 339 წევრი. რამოდენიმე შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა უარი განაცხადეს თანამდებობის ნაბყოფლობით დატოვებაზე. მაგალითისათვის, თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც წარსულში პროფესიონალურად მუშაობდა, ამტკიცებდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი წარმომადგენლები ზეწოლას ახდენდნენ მასზე, რათა ეიძულებინათ გადამდგარიყო. აღსანიშნავია, რომ აჭარის ექვსი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარიდან არცერთი გადამდგარა თანამდებობიდან მიუხედავად ნოემბრის არჩევნების დროს დაფიქსირებული გაყალბებისა.

საუბნო საარჩევნო კომისიებში ცვლილებები იმავე სქემით ხორციელდებოდა, რაც ზედა დონის კომისიებში და აქაც „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მიერ დანიშნული კომისიის წევრები დომინირებდნენ. მართალია ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომათა უმეტეს ნაწილს ადგილობრივი დამკვირვებლები ან კანდიდატების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მაგრამ ქვედა დონეებზე ასეთი რამ თითქმის არ ხდებოდა.

## ბ. არჩევნების ორგანიზება

ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციას რთული განრიგით უწევდა საქმიანობა. მიუხედავად ამისა, ცენტრალური საარჩევნო კომისია მეტწილად 7 დეკემბერს დადგენილი განრიგის მიხედვით მუშაობდა და საბოლოო ვადების მხოლოდ მცირე ნაწილი გადასწია.

<sup>3</sup> თავმჯდომარე, პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრი, „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მიერ დანიშნული 1 წევრი, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული 1 წევრი და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ დანიშნული 2 წევრი, რომლებიც ამ ჯგუფთან იყვნენ კავშირში.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ზოგადად კანონის მიხედვით მოქმედებდა და პროფესიონალურად და გამჭვირვალედ ფუნქციონირებდა. მისი საქმიანობა აღინიშნა შესამჩნევი პროგრესით მის წინამორბედებთან შედარებით და მან გამოავლინა უფრო დიდი სურვილი და პოლიტიკური ნება ჩაეტარებინა უფრო მეტად დემოკრატიული საარჩევნო პროცესი. ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომელიც საჭიროდ იქნა მიჩნეული, რათა შესაძლებელი ყოფილიყო არჩევნების გამართვა დროის დეფიციტის პირობებში, მაგალითად ამომრჩევლების რეგისტრაცია არჩევნების დღეს, შესაძლოა არ იყოს სასურველი პრეცედენტი მომავალი არჩევნებისათვის საქართველოში.

დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები თავიანთ მოვალეობებს ზოგადად მოწესრიგებულად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად ასრულებდნენ. თუმცა, დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, არჩევნების დღეს იყო გამონაკლისებიც, მათ შორის საბურთალოზე, ისანიში, გორში, ხარაგაულში, ბათუმში, ქობულეთში და ხელვაჩაურში. მიუხედავად მრავალი ახალი წევრის დანიშვნისა, საუბნო საარჩევნო კომისიები მუშაობდნენ კოლეგიალურად და გულმოდგინედ.

რადგანაც ზოგიერთმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიამ აშკარად ვერ შეძლო შესაფერისი დისტანციის დაცვა წამყვანი კანდიდატის, ბატონი სააკაშვილის და მისი მომხრეებისაგან, შეიქმნა სულ მცირე იმის შეგრძნება მაინც, რომ ისინი არ იყვნენ საკმარისად მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. მაგალითად, დამკვირვებლებმა მოგვახსენეს, რომ ბატონი სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის წარმომადგენლები, ისევე, როგორც „ნაციონალური მოძარობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ პარტიული თანამდებობის პირები, ამარაგებდნენ საარჩევნო ადმინისტრაციას მატერიალური რესურსებით (ისანი, სამგორი, წყალტუბო და ტყიბული), უტარებდნენ ტრენინგს (ჩულურეთი) და აწვდიდნენ კამპანიის ლიტერატურას (ლიახვი, გორი და ლაგოდეხი). იყო ცნობები იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უშუალოდ აწარმოებდა ამომრჩეველთა რეგისტრაციას, რაც საუბნო საარჩევნო კომისიების პრეროგატივაა, კერძოდ ქვემო ქართლის რეგიონში, საგარეჯოში, ჩულურეთში და დიდუბეში. იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ოლქში კამპანიის კორდინატორები საარჩევნო კომისიის თანამშრომლებიც იყვნენ (ლიახვი, გორი და დუშეთი).

ცენტრალური საარჩევნო კომისია ქებას იმსახურებს მის მიერ გაწეული ძალისხმევით საარჩევნო თანამდებობის პირების უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად და მათი პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. მრავალრიცხოვანი ტრენინგები, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ტარდებოდა, სასარგებლო იყო. თუმცა, აშკარა იყო, რომ მრავალი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია დამატებით მომზადებას საჭიროებდა, განსაკუთრებით ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურების მხრივ.

საერთაშორისო დახმარების დიდი ნაწილი ფოკუსირებული იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საარჩევნო ორგანოებზე და ამან დადებითი შედეგი გამოიღო. ეთო-ს საარჩევნო დახმარების პროგრამით ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტში 1,6 მილიონი ევრო შევიდა. მართალია ხელფასებისათვის გამიზნული თანხები პროცესის საკმაოდ გვიან ეტაპზე

იქნა გამოყოფილი, მაგრამ მისი აუცილებლობა განპირობებული იყო მოტივაციისა და საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და დაუცველობისა და კორუფციის შემცირების საჭიროებით. საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებისა და რჩევების კოორდინირება ეუთო-ს საარჩევნო დახმარების პროგრამის, „ელჩების სამუშაო ჯგუფისა“ და ასოცირებული ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მეშვეობით წარმოებდა.

## **ბ. კანდიდატების რეგისტრაცია**

ორმა პოლიტიკურმა პარტიამ და ხუთმა საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სულ მცირე 50000 მხარდამჭერის ხელმოწერათა სია საბოლოო ვადის ამოწურვამდე 12 დეკემბერს. ერთ კანდიდატს, იგორ გიორგაძეს, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, რადგანაც ის არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. დანარჩენი ექვსი კანდიდატი რეგისტრაციაში 17 დეკემბერს გატარდა. ერთმა კანდიდატმა, ზურაბ ქელესაშვილმა, საჯაროდ განაცხადა საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ არჩევნების წინა დღეს. თუმცა, მან ვერ მოახერხა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა და მისი სახელი დარჩა ბიულეტენებზე უბნების უმეტეს ნაწილში.

მართალია საპრეზიდენტო არჩევნებში არაერთი კანდიდატი მონაწილეობდა, მაგრამ პოლიტიკური გარემო კონკურენტული არ ყოფილა. იყო გამოკვეთილი ფავორიტი, ბატონი სააკაშვილი, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე დომინირებდა. „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ გარდა, არც ერთ წამყვან პოლიტიკურ პარტიას კანდიდატი არ წარუდგენია. ექვსი კანდიდატიდან ორს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 1995 და 2000 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში, როდესაც მათ ხმების 1%-ზე ნაკლები მიიღეს. შესაძლოა, ახალმა პოლიტიკურმა გარემომ და მოკლე ვადებმა რამოდენიმე პოტენციურ კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობა გადააფიქრებინა.

რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს, 11 მეორე ტურიდან ხუთში კანდიდატების მიერ საკუთარი კანდიდატურის დაგვიანებით მოხსნის გამო ბიულეტენზე მხოლოდ ერთი კანდიდატი დარჩა და შედეგად ამომრჩევლებს არჩევანის საშუალება არ ჰქონდათ.

## **დ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია**

### **1. წინასწარი რეგისტრაცია**

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისას გამოყენებული ამომრჩეველთა ცენტრალური სიები საერთაშორისო დამკვირვებელთა მხრიდან მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ორი, არცთუ იდეალური, არჩევანი ჰქონდა: (1) არსებულ სიებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის მოგვარება; ან (2) სრულებით ახალი სიების შექმნა. არც ერთი მიდგომა არ იძლეოდა 2004 წლის 4 იანვრისათვის სრული და ზუსტი სიების შექმნის შესაძლებლობას.

9 დეკემბერს, ღია დებატებისა და დახურული კენჭისყრის შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხელახალი რეგისტრაცია არჩია. ეს გადაწყვეტილება, რომელიც ემყარებოდა მოსაზრებას, რომ ძველი სიების მიმართ საზოგადოების უნდობლობა არ იძლეოდა სანდო არჩევნების გამართვის საშუალებას, შესაძლოა გამართლებული იყო მოცემულ პირობებში.

რეგისტრაცია გულისხმობდა ამოცანებისა და პასუხისმგებლობის დიდი ნაწილის დელეგირებას საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის. პროცესი სამ ელემენტს მოიცავდა:

- ◆ წინასწარი რეგისტრაცია: ამომრჩევლები უნდა მისულიყვნენ ადგილობრივ საუბნო საარჩევნო კომისიაში და გაეგლოთ რეგისტრაცია;
- ◆ აღრიცხვა და გადამოწმება: საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს კარდაკად უნდა მოეგლოთ მთელი უბანი;
- ◆ საზოგადოებრივი გადამოწმება: სიები უნდა გამოკრულიყო საუბნო საარჩევნო კომისიებში, რათა თითოეულ ამომრჩეველს საშუალება ჰქონოდა შეემოწმებინა საკუთარი რეგისტრაციის დეტალები, განხილულიყო საჩივრები შეცდომებთან ან ამომრჩევლების გამოტოვებასთან დაკავშირებით და მომხადრიყო ახალი ამომრჩევლების ჩამატება სიებში.

პირველი ორი ფაზა 27 დეკემბერს დასრულდა. საზოგადოებრივი გადამოწმების პერიოდი დაიწყო 29 დეკემბერს და დასრულდა 3 იანვარს.

რეგისტრაციის შესახებ საზოგადოების ინფრომირების კამპანია ნელა დაიწყო, მაგრამ შემდგომში საკმაოდ აქტიური გახდა. მართალია ქალაქებში მცხოვრებ მოქალაქეთა უმეტესობამ იცოდა პროცესის შესახებ და ჰქონდა საბაზო ინფორმაცია მის თაობაზე, მაგრამ სოფლად მცხოვრები მოქალაქეები და არაქართული მოსახლეობით დასახლებული რაიონების მაცხოვრებლები ნაკლებ ინფორმაციას ფლობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას პროცესი გვიან დაიწყო და სერიოზული პრობლემები არსებობდა რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მხრივ, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიები გულმოდგინედ მუშაობდნენ რეგისტრაციის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი განყოფილებები და ხელისუფლების სხვა ორგანოები ზოგადად კანონისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედებდნენ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ წესებს არათანამიმდევრულად ახორციელებდნენ, მათ შორის „ოჯახური რეგისტრაციის“ საკითხში. მართალია არსებობდა დამცავი მექანიზმები გადამოწმების თვალსაზრისით, მაგრამ მოკლე ვადებმა შეზღუდა მრავალჯერადი რეგისტრაციის წინააღმდეგ მიმართული ზომების გამოყენების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, საარჩევნო ადმინისტრაცია ქებას იმსახურებს იმ სერიოზული ძალისხმევით, რომელიც მას გასწია

პროცესის ამ მნიშვნელოვანი ასპექტისადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად.

თუმცა, სიები არასრულად უნდა იქნეს მიხნეული და მთელმა რიგმა პრობლემებმა წარმოშვა შეშფოთება, მათ სიზუსტესა და ყოვლისმომცველობასთან დაკავშირებით. მრავალ ადამიანს არ შეეძლო ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის დამოწმება, რადგანაც მათ არ ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტები ან ეს დოკუმენტები ვადაგასული იყო. ამრიგად, ასეთ პირებს რეგისტრაციის გავლა მხოლოდ ოფიციალურად აღრიცხულ უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილზე შეეძლოთ, რაც გულისხმობს, რომ მათ შესაძლოა დიდ მანძილზე მოგზაურობა დასჭირებოდათ, რათა თავიდან აეცილებინათ საარჩევნო უფლების დაკარგვა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მთავრობამ დაადგინა, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ განყოფილებებში უფასოდ მიეღოთ პირადობის მოწმობები, სადაც სახცოვრებელი ადგილია აღნიშნული. მართალია ეს სასარგებლო აღმოჩნდა გარკვეულ შემთხვევებში, მაგრამ პროცესი ნელა მიმდინარეობდა. იყო აგრეთვე სანდო ინფორმაცია, რომ თანამდებობის პირები უკანონოდ იღებდნენ ფულს პირადობის მოწმობების გაცემის სანაცვლოდ. ერთ შემთხვევაში, როდესაც საქმეში უშუალოდ ჩაერია ცენტრალური საარჩევნო კომისია, დამრღვევები საჯაროდ იქნენ დათხოვილნი თანამდებობიდან.

## 2. ამომრჩეველთა რეგისტრაცია არჩევნების დღეს

30 დეკემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუშვა ამომრჩეველთა რეგისტრაცია არჩევნების დღეს, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩეველებისა. ეს დებულება გონივრული სჩანდა ამ არჩევნების პირობებში, როდესაც ამომრჩეველთა რეგისტრაცია აშკარად არასრული იყო, მაგრამ ის არ უნდა იქცეს მუდმივმოქმედ მექანიზმად.

არჩევნების დღეს, პროცესი ზოგჯერ გრძელი რიგების მიზეზი ხდებოდა, მაგრამ ის იშვიათად იწვევდა უწყესრიგობას. არჩევნების დღეს რეგისტრირებული ამომრჩეველები ცალკე რიგში იდგნენ და მათ ცალკე სიაში აღნიშნავდნენ იმავე ინდივიდუალური რეგისტრაციის ფორმის მეშვეობით, რომელიც წინასაარჩევნო რეგისტრაციისას გამოიყენებოდა. ზოგადი შთაბეჭდილების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომლები გულმოდგინედ ამოწმებდნენ ახლადდარეგისტრირებული ამომრჩეველების პირადობასა და სახცოვრებელ ადგილს.

თუმცა, არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციამ გაართულა ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესი. შედეგების ოქმის ფორმა დამტკიცდა მანამ, ვიდრე მიღებულ იქნებოდა გადაწყვეტილება არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის დაშვების თაობაზე და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ გამოუცია წერილობით მკაფიო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული არჩევნების დღეს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა. ამრიგად, მრავალ საუბნო საარჩევნო კომისიას პრობლემები შეექმნა იმ მათემატიკური შეცდომების გამო, რომლებიც მათ დაუშვეს, როდესაც ოქმებში მოცემული რიცხვების შეჯერებას ცდილობდნენ.



სამწუხაროდ, აჭარაში არჩევნების წინ ამომრჩეველთა რეგისტრაცია არ განხორციელებულა. არჩევნების დღეს, რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა დაახლოებით 78000 ადამიანმა. მნიშვნელოვანია, რომ ახალი არჩევნების წინ აჭარაში (და სხვაგან) მცხოვრებ არარეგისტრირებულ ამომრჩეველებს რეგისტრაციის გაგლის შესაძლებლობა მიეცეთ.

### 3. რეგისტრაცია და ხმის მიცემა საზღვარგარეთ

საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოქალაქეების რეგისტრაციაზე და საზღვარგარეთ ხმის მიცემის ორგანიზებაზე. საზღვარგარეთ რეგისტრაცია დაახლოებით 8000 ამომრჩეველმა გაიარა, ძირითადად არჩევნების დღეს. ეს რიცხვი დიდად განსხვავდება 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან, რომლებიც დარღვევებით მიმდინარეობდა და რომელთა დროსაც საზღვარგარეთ გახსნილ 59 საარჩევნო უბანში თითქოსდა დაახლოებით 80000 ამომრჩეველი მივიდა. ამჯერად, საარჩევნო უბნები მხოლოდ საქართველოს საელჩოებსა და დიპლომატიურ მისიებში გახსნა.

### 4. რეგისტრაციის შედეგების გამოქვეყნება

საბოლოო შედეგების ოქმის თანახმად, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 2 319 986. სამწუხაროდ, ეს რიცხვი არ იყო დაყოფილი არჩევნებამდე და არჩევნების დღეს რეგისტრირებულ ამომრჩეველებად. თუმცა, არჩევნების შემდეგ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუყოვნებლივ გამოქვეყნა ინფორმაცია, რომ არჩევნების დღეს რეგისტრაცია 391 035 ამომრჩეველმა გაიარა.

არჩევნებამდე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოქვეყნა იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებიც წინასწარი რეგისტრაციისა და აღრიცხვის ფაზაში იქნენ რეგისტრირებულნი და შესაბამისი მონაცემები თითოეული საარჩევნო ოლქისათვის. საერთო რაოდენობა იყო 1 738 790 ამომრჩეველი. თუმცა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ უცდია თითოეულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

## VI. კამპანია

კამპანია უკიდურესად პასიური და მოვლენებით ღარიბი იყო. რამოდენიმე კანდიდატმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი თანხები, რათა დაემზადებინათ კამპანიის მასალები ან მოეწყოთ ღონისძიებები. ბატონი სააკაშვილი, რომელიც ფავორიტად იყო აღიარებული, ფოკუსირებული იყო ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და ხმის მიცემაში ფართო მონაწილეობის წახალისებაზე.

დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსები ზოგჯერ ბატონი სააკაშვილის მხარდასაჭერად გამოიყენებოდა. ერთიანი საარჩევნო კოდექსის საწინააღმდეგოდ, სხვა კანდიდატებს ამის საშუალება არ ჰქონდათ. რამოდენიმე შემთხვევაში, ბატონი სააკაშვილის

საარჩევნო კამპანიის ადგილობრივი შტაბები განთავსებული იყო სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ შენობებში (ყვარელი, ყაზბეგი, ახალქალაქი, ასპინძა, შიდა ქართლის რეგიონი). „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ კამპანიის მასალები და/ან დროშები ზოგჯერ საჯარო შენობებში იყო გამოფენილი (გორი, ყარაღეთი, ახალქალაქი, ამბროლაური და რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორის რეზიდენცია). ასეთი მაგალითების გამო, კვლავაც არსებობდა შემოფოტება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ადმინისტრაცია და პარტიული სტრუქტურები არ იყო სრულად გამიჯნული ერთმანეთისაგან, რაც მუდმივი პრობლემა იყო წინა არჩევნების დროს.

ერთიანი საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების საპირისპიროდ, იყო შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ინარჩუნებდნენ ან იკავებდნენ თანამდებობებს და პარალელურად იღებდნენ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში, როგორც კანდიდატები. ახლადდანიშნული სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი და ახალქალაქის გამგებელი არ გადამდგარან თანამდებობებიდან მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ კანდიდატები 4 იანვრის მაჟორიტარულ არჩევნებში.

საარჩევნო კამპანია მეტწილად მშვიდობიანი იყო. არ გამართლდა შიში, რომ საარჩევნო პროცესს სერიოზული წინასაარჩევნო ძალადობა დაჩრდილავდა. თუმცა, 15 დეკემბერს, ასაფეთქებელმა მოწყობილობამ მცირე ზიანი მიაყენა კანიდატ შაშიაშვილის სახლს. არჩევნების წინა კვირებში, თბილისში ადგილი ჰქონდა ხუთ მცირე აფეთქებას. გაურკვეველია, იყო თუ არა დაკავშირებული ეს ინციდენტები კამპანიასთან.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა გამოთქვეს გაფრთხილება ბატონი სააკაშვილის მიმართ არსებული საფრთხის თაობაზე. შემდგომში, გაძლიერდა მისი დაცვა და ის საცხოვრებლად გადაიყვანეს პრეზიდენტის რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე შენობაში. მართალია შესაძლოა არსებობდა შესაფერისი მიზეზები უსაფრთხოების ამგვარი დამატებითი ზომებისათვის, მაგრამ პრეზიდენტის რეზიდენციის შერჩევა არ იყო სახელმწიფოს ნეიტრალურობის მანიშნებელი.

აჭარის ხელისუფლება 28 დეკემბრამდე აცხადებდა, რომ არ დაუშვებდა არჩევნების ჩატარებას საკუთარ ტერიტორიაზე. საგანგებო მდგომარეობა, რომლის კანონიერება სადავო იყო, 3 იანვრამდე მოქმედებდა და ხელახლა იქნა გამოცხადებული 7 იანვარს. მიუხედავად ამისა, არჩევნების წინა პერიოდში, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტებმა დაიწყეს ორგანიზება და რეგიონში არჩევნების გამართვის მოთხოვნა. 22 დეკემბერს, უცნობმა მამაკაცებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სტუდენტების ლიდერს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა არჩევნების მხარდამჭერი საზოგადოებრივი კომიტეტის საქმიანობაში. შედეგად, საჭირო გახდა მისი გადმოყვანა თბილისში სამკურნალოდ. აჭარაში კამპანია თითქმის არ წარმოებდა.

## VII. მედია

### ა. რეპულირება და ზოგადი გარემო

ნოემბრის მოვლენების შემდგომ პერიოდში, მედია კვლავ სარგებლობდა აზრის გამოხატვის თავისუფლების მაღალი ხარისხით ყველგან გარდა აჭარისა. თუმცა, მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებების მიმართ ძალადობის ცალკეულმა შემთხვევებმა და მედიის შეზღუდვებმა კამპანიის ზოგადად მშვიდობიან პერიოდს დაღი დაასვა. მაგალითად, დეკემბრის დასაწყისში, სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის შენობის წინ მცირე ნაღმი აფეთქდა, ხოლო 29 დეკემბერს, ძირითადი კერძო სამაუწყებლო კომპანიის, რუსთავი 2-ის, შენობას ყუმბარმტყორცნის ჭურვი ესროლეს. დეკემბრის შუა რიცხვებში, გაზეთ "ზერკალო-ს" ("სარკე") თბილისში მომუშავე კორესპონდენტმა შეგვატყობინა მასზე თავდასხმისა და მისი დაშინების შესახებ. თუ რამდენად დაკავშირებულია ამ შემთხვევების მიზეზები არჩევნებთან ნათელი არ არის.

ზოგადად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოიჩინეს ობიექტურობის უფრო მაღალი ხარისხი და უფრო კრიტიკული მიდგომა, ვიდრე ნოემბრის არჩევნების დროს. თუმცა, უფრო კონკურენტული გარემო მედიის მიერ ჟურნალისტური სტანდარტების დაცვის სურვილის უკეთესი გამოცდა იქნება. ეთერის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჯარო განცხადებათა კამპანიის მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით, მასობრივი ინფორმაციის კერძო საშუალებებმა განსაკუთრებით აქტიური როლი შეასრულეს.

აჭარაში ჟურნალისტების თავისუფლება შეზღუდული იყო საგანგებო მდგომარეობის საბაბით. არსებობს რიგი შეტყობინებებისა, რომელთა მიხედვითაც ჟურნალისტებს არ უშვებდნენ აჭარაში ან ხელს უშლიდნენ მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებაში. აჭარის ხელისუფლებამ შეაჩერა რუსთავი 2-ის საკაბელო გადაცემა აჭარის ტერიტორიაზე არადამაჯერებელი მიზეზით, რომ ეს იყო კომერციული დავა. მაუწყებლობა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე აღდგა, მაგრამ ისევ შეჩერდა, როდესაც საგანგებო მდგომარეობა კვლავ იქნა შემოდებული. ასევე შეფერხდა ავტონომიურ რესპუბლიკაში თბილისში მომუშავე რადიო „იმედის“ მაუწყებლობის მცდელობები.

კანონის თანახმად, მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებში საეთერო დროის ორი საათი უფასოდ უნდა განაწილდეს ყველა მეტოქეს შორის.

### ბ. მედიის მონიტორინგი

საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ განაგრძო მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგი, რაც 2003 წლის ნოემბრის არჩევნების დროს განახორციელა.<sup>4</sup>

<sup>4</sup> მონიტორინგი განხორციელდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაუწყებელ ოთხ ტელეარხზე – სახელმწიფო ტელევიზიის I არხი, "რუსთავი 2," "იმედი TV" და აჭარის ტელევიზია -- და 5

როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული მედია ძირითად ყურადღებას ბატონი სააკაშვილის კანდიდატურას უთმობდა. მან და მისმა პარტიამ მიიღეს თითქმის 30% საეთერო დროისა, რომელიც პოლიტიკას მიეძღვნა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაუწყებელ მასობრივი ინფორმაციის ყველა იმ ელექტრონულ საშუალებებაში, რომელზეც მონიტორინგი განხორციელდა, გარდა აჭარის ტელევიზიისა. ეს გაშუქება ძირითადად პოზიტიური იყო. ეს მაჩვენებელი თითქმის 60%-მდე გაიზარდა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე. სახელისუფლებო კოალიციას ახალი ამბების პროგრამებში გაშუქების 68% დაეთმო (პრეზიდენტის მოვალეობების შემსრულებელს -- 14%, მთავრობის თანამდებობის პირებს -- 27%, „ნაციონალურ მოძრაობას“ -- 25% და „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ -- 2%). გარდა კანონით გათვალისწინებული უფასო ეთერისა, სხვა კანდიდატები მედიაში წარმოდგენილნი არ ყოფილან. თუმცა, ცნობილია, რომ ბატონი სააკაშვილისა და მისი მოღვაწეობისადმი ინტერესი ახალ ამბებში გასაშუქებლად გაცილებით დიდი იყო სხვა კანდიდატებთან შედარებით.

სახელმწიფო ტელევიზიის 1-ლი არხი ძირითადად ასრულებდა კანონის მოთხოვნებს უფასო ეთერთან დაკავშირებით. ექვსი კანდიდატიდან თითოეულს ყოველდღიურად 20 წუთი ეთმობოდა. მიუხედავად იმისა, რომ უფასო ეთერი ყველა კანდიდატმა გამოიყენა, მისი ეფექტურობა შემცირებული იყო რადგან მაუწყებლობა ყოველთვის საუკეთესო საეთერო დროს არ მიმდინარეობდა. მაშინ, როდესაც სახელმწიფო რადიომ უფასო მაუწყებლობას 12:00-დან 13:00-მდე და 20:00-დან 21:00 საათამდე დრო დაეთმო (საუკეთესო საეთერო დრო), სახელმწიფო ტელევიზიის I-მა არხმა, კომერციული მოისახრებების მომიზეზებით, ეს გადაცემები დღის საათებში, 15:15-დან 17:15-მდე განათავსა. კანდიდატმა ღარიბაშვილმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იჩივლა, რომ სოფლებში ელექტროენერჯიის მიწოდების შეწყვეტა დღის საათებში მოსახლეობას სახელმწიფო ტელევიზიის მეშვეობით კანდიდატებისა და კამპანიის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების საშუალებას არ აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსი არ განსაზღვრავს უფასო მაუწყებლობის ზუსტ დროს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიმართა სახელმწიფო ტელევიზიის 1-ლ არხს საუკეთესო საეთერო დროის უზრუნველყოფის წინადადებით. განრიგი არ შეცვლილა.

ზოგადად, სახელმწიფო ტელევიზიის I არხის მიერ მოვლენათა გაშუქება უფრო გაწონასწორებული იყო, ვიდრე ნოემბრის არჩევნების დროს. მიუხედავად ამისა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ბატონი სააკაშვილის, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისა და მთავრობის წევრების ჩათვლით, დაეთმო მთელი პოლიტიკური საეთერო დროის დაახლოებით 63%. ეს გაშუქება ძალზედ პოზიტიური იყო. მარტო ბატონ სააკაშვილს საეთერო დროის 21% დაეთმო. დანარჩენმა ხუთმა კანდიდატმა ჯამში ეთერის მხოლოდ 7% მიიღო. 29 დეკემბრიდან 3 იანვრამდე, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ფავორიტი კანდიდატის ტელეეკრანზე გამოჩენის სიხშირე შესამჩნევად გაიზარდა და მთელი გაშუქების 50% მიაღწია.

გახეთზე -- „საქართველოს რესპუბლიკა,“ „24 საათი,“ „რეზონანსი,“ „ახალი თაობა“ და „ალია.“

ყველაზე მსხვილმა კერძო სატელევიზიო სადგურმა „რუსთავი 2-მა“, რომელიც საზოგადოდ 22-23 ნოემბრის მოვლენების აქტიურ მონაწილედ მიიხსენება, მეტწილად წაართვა სახელმწიფო ტელევიზიის 1-ლ არხს ინსტიტუციონალური კომუნიკაციის საშუალების ფუნქცია. მას მიერ მოვლენების გაშუქება უფრო დაბალანსებული იყო, ვიდრე ნოემბრის არჩევნების დროს, მაგრამ ის, ისევე როგორც მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების უმეტესობა, ძალზედ აქტიურად აშუქებდა ბატონი სააკაშვილისა და მისი პარტიის საქმიანობას. ის ხშირად გადასცემდა სურათებსა და დოკუმენტურ ფილმებს ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შესახებ, რაც კამპანიის წარმოებად შეიძლება იყოს მიჩნეული. არჩევნების წინა კვირის განმავლობაში, მთელი პოლიტიკური ეთერის თითქმის ორი მესამედი (62%) ბატონ სააკაშვილს ეხებოდა. გაშუქება უმეტესწილად პოზიტიური იყო. პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები ძირითადად იგნორირებულნი იყვნენ. აღორძინების კავშირი იყო ერთადერთო პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც ვრცლად და ნეგატიურად იყო გაშუქებული, ნაწილობრივ იმის გამო, რომ აჭარის ხელისუფლება არჩევნების „ბოიკოტით“ იმუქრებოდა.

ტელეკომპანია „იმედმა“ ყველაზე გაწონასწორებული გაშუქება, პოლიტიკურ შეხედულებათა ფართო სპექტრი და კრიტიკული მიდგომა წარმოადგინა. არჩევნების წინა კვირის დროს, კანდიდატ შაშიაშვილს მცირედით მეტი დრო დაეთმო (25%), ვიდრე ფავორიტს, ბატონ სააკაშვილს (21%).

აჭარის ტელევიზიამ კვლავ წარმოადგინა სრულიად მიკერძოებული გაშუქება აღორძინების კავშირის სასარგებლოდ: მას ახალი ამბების ეთერის 73% მიეძღვნა, ხოლო გაშუქება თითქმის მთლიანად პოზიტიური იყო. ბ-ნი სააკაშვილის გაშუქება შედარებით მცირე დროს იკავებდა, ნაკლებს ვიდრე ყველა სხვა კანდიდატის ერთად და ძირითადად ნეგატიური იყო.

ბეჭდვით მედიაში, პოლიტიკური სივრცის თითქმის 60% დაეთმო მთავრობის წევრებს, „ნაციონალურ მოძრაობას“, „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ და მათ ლიდერებს. მიუხედავად ამისა, ბეჭდვითმა მედიამ ზოგადად პოლიტიკური შეხედულებების უფრო ფართო სპექტრი წარმოადგინა და მის მიერ ხელისუფლების გაშუქება უფრო კრიტიკულ ხასიათს ატარებდა. თუმცა, მათი ტირაჟი შეზღუდული იყო.

ფასიანი რეკლამა ძირითადად შემოიფარგლებოდა ბატონი სააკაშვილის რეკლამით (უმეტესად „ვარდების რევოლუციის“ კადრებით) რაც ყველაზე ხშირად „რუსთავი 2-ზე“ გადიოდა. საინტერესოა, რომ რამოდენიმე ფასიანი რეკლამა გადაიციმოდა იგორ გიორგაძის მხარდასაჭერად მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ გაატარა რეგისტრაციაში მისი კანდიდატურა.

## VIII. არჩევნებთან დაკავშირებული დავები

სასამართლოებში თუ საარჩევნო კომისიებში ოფიციალური საჩივრების ძალზედ მცირე რაოდენობა იქნა წარდგენილი. ეს მკვეთრად განსხვავდება

წინა არჩევნების დროს არსებული მდგომარეობისაგან. შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს პასიურ კამპანიასთან და კონკურენტული გარემოს ნაკლებობასთან. წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული ოფიციალური საჩივრების რაოდენობა 20-ზე ნაკლებს შეადგენს და ძირითადად საოლქო საარჩევნო კომისიებში განხორციელებულ დანიშვნებს ეხება. გადაწყვეტილებები იმ რამოდენიმე საქმეზე, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სასამართლოებმა განიხილეს, კანონით განსაზღვრულ ვადებში და აშკარა მიკერძოების გარეშე იქნა გამოტანილი.

## IX. გენდერული საკითხები

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მამაკაცთა დომინირების ტენდენცია შეიმჩნევა, თუმცა რამოდენიმე ქალმა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძის ჩათვლით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილის დაკავება მოახერხა. მთავრობაში მხოლოდ ერთი ქალი მინისტრია და ის ქალბატონმა ბურჯანაძემ დანიშნა. ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტის წევრია 14 ქალბატონი. რეგიონების გუბერნატორთა შორის არც ერთი ქალი არ არის.

ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიების საქმიანობაში, თუმცა მათი მონაწილეობა მცირდებოდა ადმინისტრაციის მაღალ ეშელონებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ერთი ქალი იყო. საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დაახლოებით 80% მამაკაცი იყო, მაშინ როდესაც თავმჯდომარეების მოადგილეთა 16% და მდივნების 61% ქალები იყვნენ. 46%-ში იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც დამკვირვებლები იყვნენ, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ქალი იყო.

კამპანიის პასიურობამ არ მოგვცა საშუალება დეტალურად შეგვეფასებინა კამპანიის წარმოებაში ქალების მონაწილეობის ხარისხი და პოლიტიკურ პლატფორმებში ქალთა უფლებების დაცვის საკითხების შეტანა. დამკვირვებლებმა შეგვატყობინეს, რომ რეგიონების უმრავლესობაში ქალები და მამაკაცები თანასწორად მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო რეგისტრაციაში და ხმის მიცემის პროცესში. თუმცა, იმ სოფლებში, სადაც აზერბაიჯანელი მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენს, დამკვირვებლებმა საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობა შეაფასეს როგორც დაბალი.

## X. ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

საქართველოში არის ორი მსხვილი ეროვნული უმცირესობა: აზერბაიჯანელები (რომლებიც კონცენტრირებულნი არიან ქვემო ქართლში და კახეთის ნაწილში) და სომხები (კონცენტრირებულნი სამცხე-ჯავახეთში), აგრეთვე უმცირესობათა ნაკლებად მრავალრიცხოვანი ჯგუფები, მათ შორის რუსები, ოსები, იეზიდები, ბერძნები, ჩეჩნები და აფხაზები. ხშირ შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა ცუდად იციან ქართული ენა.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ნაკლებად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფო დონის პოლიტიკაში. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას საინფორმაციო ბარიერით, რომელსაც ისინი ენის გამო აწყდებიან და მათი დასახლებების ადგილმდებარეობით. წინასაარჩევნო პერიოდის დროს, სახელმწიფო ტელევიზიის 1-ლმა არხმა დაიწყო ახალი ამბების გადაცემა აზარბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რის შედეგადაც ამ უმცირესობათა ჯგუფებისათვის საჯარო ინფორმაცია პოტენციურად უფრო ხელმისაწვდომი გახდა. სახელმწიფო მინისტრ ჟვანიას წინასაარჩევნო ვიზიტებმა სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც იგი ამ სახელმწიფოთა მეთაურებს შეხვდა, ასევე შეუწყო ხელი პოსტრევოლუციური ცვლილებებისადმი და დროებითი მთავრობისადმი უმცირესობების ნდობის ამაღლებას.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ უმცირესობების არჩევნების პროცესში გარკვეულობა გაიზარდა 2003 წლის არჩევნებთან შედარებით, როდესაც ქართულად დაბეჭდილი საარჩევნო მასალების არაერთგვაროვანმა აღქმამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო საარჩევნო დარღვევებს აზერბაიჯანელებით და სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე. ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაბეჭდა ორენოვანი (ქართულ-რუსული) ბიულეტენები და ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული მასალები აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ და ქართულ ენებზე. მრავალმა ადგილობრივმა და საერთაშორისო ჯგუფმა მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა სწავლების იმ პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უმცირესობებით დასახლებული სოფლებისათვის იყო გამიზნული.

თუმცა, ორენოვანი ბიულეტენები უმცირესობებით დასახლებულ ზოგიერთ რაიონში არ გამოიყენებოდა (ახალციხე, ნინოწმინდა), როგორც ჩანს, განაწილებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. უმცირესობებით დასახლებულ ზოგიერთ ტერიტორიაზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ჩიოდნენ, რომ მათ არ ესმოდათ კენჭისყრის ჩატარების ინსტრუქციები (მარნეული, ახალქალაქი). ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიას, ძირითადად სომხურ და აზერბაიჯანულ რაიონებში, უჭირდა ოქმების შევსება, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენაზე იყო დაბეჭდილი (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი). ამ რაიონებში, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დამკვირვებლებს უთხრეს, რომ მათ უფრო გაუადვილდებოდათ რუსულად დაწერილი ოქმების და ინსტრუქციების გაგება და გამოყენება.

## **XI. სამოქალაქო საზოგადოება / ადგილობრივი დამკვირვებლები**

არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ადგილობრივ დამკვირვებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების („სამართლიანი არჩევნები“) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ შეტანილი წვლილი. დამკვირვებლებმა აღნიშნეს მცირე ნაკლები ადგილობრივი ყურადღება

საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აკრედიტაცია 59 ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციაზე გასცა. დამკვირვებლებმა შეგვატყობინეს, რომ ადგილობრივი უპარტიო მეთვალყურეები საარჩევნო უბნების 71%-ში და საოლქო საარჩევნო კომისიების 76%-ში იმყოფებოდნენ. თუმცა, „სამართლიანი არჩევნები“ ძირითადი არასამთავრობო სადამკვირვებლო ჯგუფი, ზოგიერთ უბანში კარგად იყო წარმოდგენილი, ზოგიერთში კი თითქმის საერთოდ არ ყოფილა. მან ჩაატრა ხმების პარალელური დათვლა და ამომრჩეველთა აქტივობის პარალელური დათვლა, მაგრამ მისი შედეგები არ ყოფილა ისე ფართოდ გაშუქებული, როგორც ეს ნოემბერში მოხდა. საია-მ ყურადღება საოლქო საარჩევნო კომისიების მონიტორინგზე გაამახვილა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მაშინ როცა „სამართლიანი არჩევნების“ და საია-ს მონაწილეობის ხასიათი და პრიორიტეტები ოდნავ შეიცვალა, სხვა ადგილობრივი დამკვირვებლების მონაწილეობა გაიზარდა. შემთხვევათა 51%-ში, როდესაც საერთაშორისო დამკვირვებლები საარჩევნო უბანზე არასამთავრობო ორგანიზაციების მეთვალყურეებს ხედავდნენ, ისინი არა „სამართლიანი არჩევნებიდან“ ან საია-დან, არამედ სხვა ორგანიზაციებიდან იყვნენ. არჩევნების დღეს, ადგილობრივ ჯგუფებს მუშაობაში ხელს ზოგადად არ უშლიდნენ და მათ მიმართ დაშინებას ადგილი არ ჰქონია, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ნაკლებად აქტიურობდნენ არჩევნების კონტროლისას, ისინი ძალზედ აქტიური იყვნენ არჩევნების სხვა ასპექტებში, როგორცაა სწავლება და საზოგადოების ინფორმირება. „სამართლიანი არჩევნების“ რამოდენიმე თანამშრომელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრი გახდა. ეს იყო იმ ტენდენციის ნაწილი, რომელიც შეინიშნება ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში უკანასკნელი თვეების განმავლობაში, როდესაც რამოდენიმე ყოფილმა არასამთავრობო აქტივისტმა დაიკავა თანამდებობები სახელმწიფო ადმინისტრაციაში, განსაკუთრებით, ოლქის და ქალაქის დონეზე.

აჭარაში სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების შევიწროებამ არჩევნების წინა პერიოდში და ნოემბრის არჩევნების დროს საია-ს დამკვირვებლის დაპატიმრებამ და დაკავებამ, თავდაპირველად, გამოიწვია ზოდგიერთი ორგანიზაციის შემფოთება დაკვირვებასთან დაკავშირებით. თუმცა, არჩევნების დღეს, „სამართლიანმა არჩევნებმა“, საია-მ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და რამოდენიმე სხვა ჯგუფმა დაკვირვება ხელის შეშლის გარეშე აწარმოეს. ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნებთან დაკავშირებით მათ არც ერთ საჩივარი არ შეუტანიათ.

## XII. ხმის მიცემა, ხმების დათვლა და შეჯამება

### A. ზოგადი შეფასება

დამკვირვებლებმა ინფორმაცია საქართველოს 1300-ზე მეტი საარჩევნო უბნიდან მოგვაწოდეს. არჩევნები 75 ოლქში ჩატარდა. უამინდობის გამო



ხმის მიცემა არ ჩატარებულა კოდორის ხეობის საარჩევნო უბნებზე, ხოლო მშვიდობიანმა დემონსტრაციამ ხმის მიცემა არ დაუშვა სოფელ ფლევის ერთ უბანზე. ამ ცალკეული შემთხვევების გარდა, ხმის მიცემა წყნარად და უფრო მშვიდობიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა ვიდრე ნოემბრის არჩევნების დროს. მიუხედავად შიშისა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა დაბალი იქნებოდა, მონაწილეთა რაოდენობა დიდი იყო: ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა 88% იყო. დამკვირვებლებმა შეამჩნიეს ხალხის ენთუზიაზმი და ამომრჩეველების გულმოდგინება. მღელვარებას ან არეულობას ადგილი ჰქონდა 41 უბანზე (3%) იმ უბნებიდან, სადაც დაკვირვება წარმოებდა. ზოგადად, სერიოზული დარღვევების მცირე რაოდენობაზე შეგვატყობინეს. ძალადობრივი ინციდენტები შემჩნეულ იქნა მხოლოდ 10 საარჩევნო უბანზე (1%-ზე ნაკლები) იმ უბნებიდან, სადაც დაკვირვება წარმოებდა.

დამკვირვებლებმა ხმის მიცემის პროცესი შეაფასეს როგორც შესანიშნავი ან კარგი 76%-ში იმ უბნებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა.<sup>5</sup> მაგრამ, წინა არჩევნების მსგავსად, სერიოზულ საარჩევნო დარღვევებს ჰქონდა ადგილი ქვემო ქართლში, სადაც ხმების დათვლა და შეჯამება ხშირად წესების დარღვევით მიმდინარეობდა.

დამკვირვებლების მოსაზრება ხმების დათვლის ფაზასთან დაკავშირებით ნაკლებად დადებითი იყო, რადგან 13%-მა დათვლის პროცესი შეაფასა როგორც ძალიან ცუდი ან ცუდი.<sup>6</sup> მეთვალყურეები ესწრებოდნენ შედეგების შეჯამების მთელ პროცედურას 42 საოლქო საარჩევნო კომისიაში და ამ კომისიათა 57%-ში პროცესი შეაფასეს როგორც შესანიშნავი ან კარგი.<sup>7</sup>

თითქმის ერთი მეოთხედი (24%) იმ უბნებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა შეფასდა, როგორც მისასვლელად ძნელი.

## ბ. ხმის მიცემის პროცედურები

99%-ზე მეტი იმ საუბნო საარჩევნო კომისიებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა, უზრუნველყოფილი იყო კანონმდებლობის და სახელმძღვანელოების ეგზემპლარებით და მათი უმრავლესობა გულმოდგინედ და შეთანხმებულად მუშაობდა, რათა სწორად შეესრულებინა ხმის მიცემის წესები. თუმცა, დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების 31%-ში, კომისიის ყველა წევრი სამსახურში არ გამოცხადდა და რომ მრავალი, განსაკუთრებით ახალი წევრებით დაკომპლექტებული, საუბნო საარჩევნო კომისიისათვის კარგი იქნებოდა დამატებითი სწავლების ჩატარება.

არჩევნების დღეს რეგისტრაციას ადგილი ჰქონა საარჩევნო უბნების უმეტეს ნაწილში. 45%-ში იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა,

<sup>5</sup> დამკვირვებლებმა პროცესი შეაფასეს როგორც სათანადო საარჩევნო უბნების 19%-ში, როგორც ცუდი 2%-ზე ცოტა მეტში და როგორც ძალიან ცუდი უბნების 1%-ზე ნაკლებში.

<sup>6</sup> 27%-ში იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა, დამკვირვებლებმა პროცესის შეაფასეს როგორც შესანიშნავი, 41%-ში როგორც კარგი და 19%-ში როგორც სათანადო.

<sup>7</sup> 27%-ში იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა, დამკვირვებლებმა პროცესის შეაფასეს როგორც სათანადო, 14%-ში როგორც ცუდი და 29%-ში როგორც ძალიან ცუდი.

შენიშნულ იქნა რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის სათანადო შემოწმების გარეშე (თბილისი, ლიახვი, გორი, ბოლნისი და ახალქალაქი). დამკვირვებლებს არ შეუძინებიათ არც ერთი შემთხვევა, როდესაც ადამიანს, ვისაც შეეძლო თავისი ხმის მიცემის უფლებისა და საცხოვრებელი ადგილის დადასტურება, არ მისცეს რეგისტრაციის ან ხმის მიცემის საშუალება. ამავე დროს, 38%-ში იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა, დამკვირვებლებმა შეგვატყობინეს, რომ ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება არ მისცეს იმის გამო, რომ მათ ვერ დაამტკიცეს საკუთარი საცხოვრებელი ადგილი ან არ ჰქონდათ სათანადო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გაყალბების საწინააღმდეგო მარკირების ჩატარება არათანამიმდევრული იყო ქვეყნის მრავალ რეგიონში, მათ შორის შიდა ქართლში (გორი, ქარელი), სამცხე-ჯავახეთში (ახალქალაქი), ქვემო ქართლში (მარნეული, წალკა), იმერეთში (ჭიათურა, ბაღდათი, ვანი და ხარაგაული), კახეთში (გურჯაანი), და მცხეთა-მთიანეთში (მცხეთა, დუშეთი, ყაზბეგი და ახალგორი). შემთხვევათა 13%-ში დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს, რომ ამომრჩევლების მარკირებას იშვიათად ამოწმებდნენ ან საერთოდ არ ამოწმებდნენ, ხოლო შემთხვევათა 9%-ში ამომრჩევლები მარკირებას ხმის მიცემამდე იშვიათად გადიოდნენ ან საერთოდ არ გადიოდნენ. მარკირების არათანამიმდევრულმა გამოყენებამ გაყალბების საწინააღმდეგო ამ მნიშვნელოვანი მექანიზმის ეფექტიანობა შეამცირა.

92%-ში იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა, ამომრჩეველთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები უმეტესწილად ან ყოველთვის მოწმდებოდა. თუმცა, რამოდენიმე შემთხვევაში, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მარკირების ნაკლებად გულმოდგინე შემოწმებამ მრავალჯერადი და ჯგუფური ხმის მიცემის შესაძლებლობა გაზარდა. დამკვირვებლებმა შეამჩნიეს ამომრჩეველთა სიებში იდენტური ხელმოწერების არსებობის შემთხვევები, განსაკუთრებით მარნეულში, წალკასა და ნინოწმინდაში.

დამკვირვებლებმა ისევ გამოხატეს შეშფოთება ხმის მიცემის ფარულობის დაცვასთან დაკავშირებით და შეგვატყობინეს ღია ხმის მიცემის, ცუდად განთავსებული საფარველის, ჯგუფური ხმის მიცემისა და არასათანადოდ მომზადებული ხმის მისაცემი კაბინების შესახებ. ეს ნაკლი, ნაწილობრივ, ერთიანი საარჩევნო კოდექსის ბრალია, რადგან, კანონის მიხედვით, ამომრჩეველი ვალდებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ეჩვენებინა შევსებული ბიულეტენის უკანა მხარე, რათა მათ დაემოწმებინათ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმოწერების არსებობა (ბიულეტენის კონვერტში ჩადებამდე). ამ პრაქტიკამ, საარჩევნო ბიულეტენების დამზადებისათვის გამოყენებული ქაღალდის უხარისხობასთან ერთად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს საშუალება მისცა ენახათ, თუ ვის აძლევდა ხმას ამომრჩეველი.

დამკვირვებლებმა შეგვატყობინეს ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევების შესახებ ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულსა (საარჩევნო უბნები №2, №4 და №16) და გარდაბანში (საარჩევნო უბანი №36). გარდა ამისა, ამ რეგიონში ფართოდ გავრცელებულმა სხვის მაგივრად ხმის მიცემამ

კითხვის ქვეშ დააყენა შედეგების სისწორე და ზოგიერთი საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმება გამოიწვია.

წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიები ყოველთვის არ იცავდნენ საკმარის დისტანციას წამყვანი კანდიდატის კამპანიისაგან ან ხელისუფლებისაგან. საარჩევნო უბნებში რიგდებოდა საახალწლო მისალოცი ბარათები ბ-ნი სააკაშვილის წერილით (რუსთავი, მარნეული). მთელს ქვეყანაში საარჩევნო უბნებში ვარდები იყო განთავსებული -- სიმბოლო, რომელიც აშკარად ასოცირდება ბატონ სააკაშვილთან. ზოგიერთი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე შემჩნეულნი იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (ბოლნისი, გორი, ნინოწმინდა) და პოლიცია (რუსთავი, ბოლნისი, გორი). ქობულეთში დამკვირვებლებმა დაინახეს, როგორ მიქონდა საუბნო საარჩევნო კომისიის ხუთ წევრს ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის ოფისში ნაცვლად საოლქო საარჩევნო კომისიისა.

## ბ. ხმების დათვლა

დამკვირვებლები ხმების დათვლას 130 საარჩევნო უბანში დაესწრნენ და თითქმის ყველა შემთხვევაში მათ მიეცათ შესაძლებლობა ეწარმოებინათ დაკვირვება ხმების დათვლის პროცესის ყველა სტადიაზე პრობლემების გარეშე. მათი შეფასება ძირითადად პოზიტიური იყო, რამოდენიმე მცირე ინციდენტის გამოკლებით.<sup>8</sup> შემთხვევათა 68%-ში დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი შეაფასეს როგორც შესანიშნავი ან კარგი.<sup>9</sup> ხმების დათვლის დროს არსებული ატმოსფერო საარჩევნო უბნების 84%-ში შეფასდა როგორც შესანიშნავი ან კარგი.<sup>10</sup> რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ხმების დათვლის ორგანიზებასა და პროცედურების ცოდნას, დამკვირვებლებმა ის შეაფასეს როგორც შესანიშნავი ან კარგი შემთხვევათა 54%-ში.<sup>11</sup> შემთხვევათა 20%-ში საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ხმების დათვლას არ დასწრებია.

საუბნო საარჩევნო კომისიების შედარებით დიდმა რაოდენობამ ხმების დათვლის რთული პროცედურა სწორად ვერ შეასრულა: 21%-მა არ განსაზღვრა გამოუყენებელი ბიულეტენებისა და კონვერტების რაოდენობა და არ დალუქა ისინი საარჩევნო ყუთის გახსნამდე; 16%-მა არ შეამოწმა კონვერტებზე დასამოწმებელი ბეჭდებისა და ხელმოწერების არსებობა; 35%-მა არ დათვალა და არ გამოაცხადა საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა; საუბნო საარჩევნო კომისიების 12%-ში არსებული ბიულეტენების და კონვერტების რაოდენობა აღრიცხულს არ დაემთხვა; ხმების დათვლის შემთხვევათა 17%-ში ბიულეტენებზე ხელმოწერები და საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდები არ შემოწმებულა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების

<sup>8</sup> ხმების დათვლის დროს, ძალადობრივ ინციდენტებს ადგილი ჰქონდა საარჩევნო უბნების 2%-ზე ოდნავ მეტში.

<sup>9</sup> ხმების დათვლა შემთხვევათა 19%-ში შეფასებულ იქნა როგორც სათანადო, 7%-ში როგორც ცუდი და 6%-ში როგორც ძალიან ცუდი.

<sup>10</sup> დამკვირვებლებმა ატმოსფერო შეაფასეს როგორც სათანადო შემთხვევათა 10%-ში და როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი შემთხვევათა 6%-ში.

<sup>11</sup> საუბნო საარჩევნო კომისიების 28%-ში ის შეფასდა როგორც სათანადო, 12%-ში როგორც ცუდი და 6%-ში როგორც ძალიან ცუდი.

23%-მა არ გააბათილა ის ბიულეტენები, რომლებიც კონვერტის გარეშე იქნა ჩაშვებული ყუთში და აკლდა ხელმოწერა ან/და ბეჭედი. საუბნო საარჩევნო კომისიების 11%-ში ბიულეტენების ნამდვილობის დადგენა არათანამიმდევრული იყო.

დამკვირვებლებმა შეგვატყობინეს, რომ 33%-ში იმ საუბნო საარჩევნო კომისიებისა, სადაც დაკვირვება წარმოებდა, დათვლას ესწრებოდნენ პირები, რომლებსაც ამის უფლება არ ჰქონდათ, ხოლო უბნების 20%-ში ეს პირები პროცესში ერეოდნენ.

საუბნო საარჩევნო კომისიების თითქმის ნახევარს გაუჭირდა შედეგების ოქმის შევსება და 50%-მა არჩევნების შედეგები საჯაროდ გამოაკრა.

## დ. შედეგების შეჯამება

საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ, დამკვირვებლები 42 ოლქში დაესწრნენ შედეგების წინასწარ შეჯამებას საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე. მათ შეგვატყობინეს, რომ იმ საოლქო საარჩევნო კომისიების 47%-ში, სადაც დაკვირვება წარმოებდა, საოლქო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი წევრი ადგილზე არ იყო და შემთხვევათა 29%-ში იქ იმყოფებოდნენ პირები, რომლებსაც ამის უფლება არ ჰქონდათ. თუმცა, უფლებამოსილების არმქონე პირებმა პროცესის მართვა, მასში ჩარევა ან მასზე გავლენის მოხდნა მხოლოდ 10 შემთხვევაში სცადეს. დამკვირვებლებმა ასევე შეგვატყობინეს, რომ მდელვარებას ან არეულობას ადგილი ჰქონდა შემთხვევათა 10%-ში.

თუმცა, დამკვირვებელთა მოხსენებებმა აჩვენა რომ ზოგადად, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, პროცესი საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე ბევრად გაუმჯობესდა. მონახულებული საოლქო საარჩევნო კომისიების 57%-ში ატმოსფერო შესანიშნავი ან კარგი<sup>12</sup> იყო, ხოლო 52% შეფასდა როგორც შესანიშნავი ან კარგი ორგანიზების მხრივ.<sup>13</sup> გამჭვირვალობის დონე ბევრად უფრო მაღალი იყო და დამკვირვებლებმა შემთხვევათა 66% შეაფასეს როგორც შესანიშნავი ან ძალიან კარგი.<sup>14</sup>

თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე, კვლავ შეინიშნებოდა სერიოზული პრობლემები შედეგების ოქმების შეჯამებასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სამგორში, ჩუღურეთში, გლდანში, რუსთავში, მარნეულსა და ბოლნისში.

დამკვირვებლებმა შეგვატყობინეს რომ, კანონის დარღვევით, შემთხვევათა 33%-ში საუბნო საარჩევნო კომისიები ოქმებს საოლქო საარჩევნო კომისიებში ავსებდნენ და შემთხვევათა 37%-ში საარჩევნო უბნების ოქმებში ცვლილებები ან შესწორებები იქნა შეტანილი საოლქო საარჩევნო კომისიებში. დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ შემთხვევათა 30%-ში ოქმებში შეტანილი რიცხვები არ იძლეოდა სწორ ჯამს.

<sup>12</sup> დამკვირვებლებმა 25% შეაფასეს როგორც სათანადო ატმოსფეროს მქონე, 6% როგორც ცუდი და 2% როგორც ძალიან ცუდი ატმოსფეროს მქონე.

<sup>13</sup> 34% შეფასდა როგორც სათანადო, 9% როგორც ცუდი და 5% როგორც ძალიან ცუდი.

<sup>14</sup> 17% შეფასდა როგორც სათანადო, 11% როგორც ცუდი და 6% როგორც ძალიან ცუდი

### XIII. არჩევნების შემდგომი მოვლენები და შედეგები

სამწუხაროდ, აჭარაში სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების შეურაცხყოფა, რომელსაც ადგილი არჩევნების წინა პერიოდში ჰქონდა, უშუალოდ არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა. დააკავეს ზოგიერთი აქტივისტი და მათი ოჯახის წევრები, მაგრამ შემდგომში ისინი გაათავისუფლეს. დამკვირვებლებმა გვაცნობეს ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბულობის ზრდისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურების შესახებ.

შედეგების ოქმების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შეინიშნებოდა სერიოზული დაგვიანება, ხოლო ოქმებში მათემატიკური ჯამის გამოყვანასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან პრობლემებს. მაგალითად, 7 იანვრისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებული 1497 ოქმიდან, არანაკლებ 930 შეიცავდა მათემატიკურ შეცდომებს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოქმოდ საარჩევნო კომისიებს 650 ოქმი დაუბრუნა და თან დაურთო დამატებითი ინსტრუქციები სწორი შეჯამების დაჩქარებასთან დაკავშირებით.

ამ პრობლემებმა საბოლოო შედეგების გამოცხადება მნიშვნელოვნად დააყოვნა. 15 იანვარს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი და კოდორის ხეობაში 11 იანვრისათვის გადაღებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები.<sup>15</sup>

№	სახელი	მიღებული ხმების რაოდენობა	%
1	როინ ლიპარტელიანი	5 158	0,26%
2	ქართლოს ღარიბაშვილი	4 222	0,21%
3	ზურაბ ქელესაშვილი	1 908	0,10%
4	თეიმურაზ შაშიაშვილი	36 716	1,87%
5	მიხეილ სააკაშვილი	1 890 739	96,24%
6	ზაზა სიხარულიძე	4 782	0,24%

15 იანვარს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ასევე გამოაქვეყნა შემდეგი მონაცემები, რომლებშიც არ შესულა კოდორის ხეობის შედეგები:

- ამომრჩეველთა რაოდენობა: 2 231 986
- საარჩევნო ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რაოდენობა: 1 963 556
- ბათილი ბიულეტენების რაოდენობა: 13 571
- დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობა: 324
- დაუდგენელი ნიმუშის კონვერტების რაოდენობა: 67
- ბიულეტენები, რომლებშიც ყველა კანდიდატი გადახაზული იყო: 1,07%

<sup>15</sup> ცხრილში მოცემულია როგორც 4 იანვრის, ისე კოდორის ხეობაში 11 იანვარს ჩატარებული არჩევნების მონაცემები.

საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ შეადარა ოფიციალურად გამოქვეყნებული ოქმები იმ ინფორმაციას, რომელიც დამკვირვებლებმა გადაიწერეს 1500-ზე მეტ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმიდან არჩევნების დამეს. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილ იქნა გარკვეული შეუსაბამობები, ისინი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ ყოფილა და იმის მტკიცებულება, რომ ადგილი ჰქონდა შედეგების სისტემატურ ან მიზანმიმართულ გაყალბებას არ არსებობს.

შედეგები გაუქმდა მთაწმინდის (№ 40), მარნეულის (№4, №13 და №22) და ოზურგეთის (№ 23) საარჩევნო უბნებში მასშტაბური გაყალბების გამო. რადგან ამ გაუქმებას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა საერთო შედეგებზე, ხელახალი ხმის მიცემა დანიშნული არ ყოფილა.

#### **XIV. რეკომენდაციები**

ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისი გთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს იმ ყოვლისმომცველ რეკომენდაციებთან ერთად, რომლებიც მოცემულია ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის საბოლოო ანგარიშში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ (1 ნაწილი), რომელიც 28 იანვარს გამოქვეყნდა.

##### **ა. საპარლამენტო ჩარჩო**

1. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსი გაუმჯობესდა წინა კანონმდებლობასთან შედარებით, სასურველია შემდგომი პროგრესი. მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა დაეთმოს ყურადღება რეფორმებს, მათ შორის ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის შეუსრულებელი რეკომენდაციების განხილვას.

2. პარლამენტს ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ უნდა იქნეს დროული და გასაგები გადაწყვეტილებები იმის შესახებ თუ როგორ უნდა დაითვალოს შესაბამისი ბარიერები. კერძოდ, ხელახალ საპარლამენტო არჩევნებამდე საკმარისი ხნით ადრე უნდა განისაზღვროს „მონაწილეთა ხმების“ იურიდიული განმარტება.

##### **ბ. საარჩევნო ადმინისტრაცია**

3. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს რათა ოპოზიციური პარტიები უფრო სათანადოდ იქნენ წარმოდგენილნი ყველა დონის საარჩევნო კომისიებში. ერთიანი საარჩევნო კოდექსის 27-ე და 128-ე მუხლებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს „გარდამავალი“ ფორმულა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და მის ქვეშემდგომ ორგანოებში მეტი პლურალიზმის უზრუნველსაყოფად.

4. ცვლილებები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც არ უკავშირდება პოლიტიკური პლურალიზმის გაზრდას, უნდა განხორციელდეს მხოლოდ არადამაკმაყოფილი მუშაობის საფუძველზე.

5. საარჩევნო ადმინისტრაციაში და, განსაკუთრებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შიდა რეფორმები უნდა მიმდინარეობდეს სწრაფად და მათი მიზანი ეფექტური და პროფესიული ადმინისტრაციული უზრუნველყოფა უნდა იყოს.

6. მიღებულ უნდა იქნეს გადაუდებელი და გრძელვადიანი ზომები საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა ყოვლისმომცველი სწავლების უზრუნველყოფად, ყურადღება უნდა დაეთმოს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს, განსაკუთრებით ხმების დათვლის და შეჯამების პროცედურებს.

7. აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე შემაჯამებელი ოქმების ფორმის გასამარტივებლად და გასაუმჯობესებლად. ასეთი ზომები არ უნდა იქნეს მიღებული არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მთავარი დაცვითი მექანიზმების ხარჯზე. ოქმის ტექსტი უნდა შეიცავდეს შემაჯამებელ ფორმულებს და გასაგებად დაწერილ ინსტრუქციებს.

8. ამომრჩეველთა მარკირება გაყალბების საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი ზომაა, რომელიც საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას უწყობს ხელს. ის ახლო მომავალში უნდა შენარჩუნდეს და მიღებულ უნდა იქნეს ზომები მარკირების წესების ერთგვაროვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სწავლებამ და საზოგადოების ინფორმირების კამპანიებმა ხაზი უნდა გაუსვას ამომრჩეველთა მარკირების მნიშვნელობას და განმარტოს ზოგიერთი კონკრეტული საკითხი (მელნის ხარისხი, რელიგიის საკითხები და ა. შ.).

9. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომელმაც საოლქო საარჩევნო კომისიებს ნება დართო შეექმნათ ადამიანების სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მათ არჩევნების დღეს დაეხმარებოდნენ, უნდა გაუქმდეს ან უნდა იქნეს შემოღებული ამ დებულების ბოროტად გამოყენების აღმკვეთი წესები და დამცავი მექანიზმები, რომლებიც მისი განხორციელების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

## **ბ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია**

10. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწოს ამომრჩეველთა სიაში მონაცემების შეტანა და მისი პირველადი შეჯერება. საარჩევნო ციკლის დამთავრებისთანავე, ხელისუფლებამ პრიორიტეტად უნდა აქციოს ყველა პირადი მონაცემისა და ჩანაწერის, მათ შორის ამომრჩეველთა სიების, განკარგვის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

11. მათთვის, ვისაც საპრეზიდენტო არჩევნებისათვის რეგისტრაცია არ გაუვლია, საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩეველთა დამატებითი

რეგისტრაცია უნდა ჩატარდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აჭარისათვის, სადაც წინასწარი რეგისტრაცია არ ჩატარებულა. საკმარისად დიდი დრო უნდა იყოს გამოყოფილი ახალი სიის საჯაროდ გამოქვეყნებისა და შემოწმებისათვის.

12. მანამ, სანამ ამომრჩეველთა სიები არ იქნება ზოგადად მიღებული „საუკეთესო პრაქტიკის“ შესაბამისი, ამომრჩევლებს უნდა შეეძლოს რეგისტრაციის გავლა არჩევნების დღეს, თუ შემოწმდება მათი ხმის მიცემის უფლება და დადასტურდება, რომ მათ ხმა ჯერ არ მუციათ (წაუშლელი მელნის გამოყენებით).

13. მომავალში, ყველა გადაწყვეტილება ამომრჩეველთა რეგისტრაციის არჩევნების დღეს ჩატარების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს დროულად, რათა სათანადოდ აისახოს ყველა ფორმაში, თან ახლავდეს გასაგები ინსტრუქციები და შესაბამისი სწავლება.

14. გამჭვირვალობისა და ნდობის გაზრდის მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინტერნეტში ოლქების და უბნების დონის სარეგისტრაციო მონაცემები უნდა გამოაქვეყნოს. ისინი დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს ყოველი ახალი სარეგისტრაციო პერიოდის შემდეგ და, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, რეგულარული ინტერვალებით პროცესის მიმდინარეობისას. თუ ამომრჩევლები რეგისტრაციას არჩევნების დღეს გადიან, ამ ამომრჩეველთა რაოდენობა ასევე ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს და შემაჯამებელ ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

## **დ. საარჩევნო კამპანია და მედია**

15. ხელისუფლებამ და საარჩევნო ორგანოებმა არ უნდა დაუშვან ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება და უზრუნველყონ თანასწორი პირობები არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის. საარჩევნო კამპანია სახელმწიფო მოღვაწეობისაგან უნდა გაიმიჯნოს.

16. ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლები საარჩევნო კამპანიაში უკანონოდ არ უნდა ჩაერიონ და არ უნდა უზრუნველყონ კანდიდატები თუ პარტიები არათანაბარი რესურსებით. პოლიტიკურმა პარტიამ თუ საარჩევნო სუბიექტმა არ უნდა მიიღოს ფართი საარჩევნო მოღვაწეობისათვის, თუ ის არ მიუღია ყველა საარჩევნო სუბიექტს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

17. საარჩევნო ადმინისტრაციასა და პოლიტიკურ პარტიებს/კანდიდატებს შორის დისტანცია უნდა იქნეს შენარჩუნებული. კანონის შესაბამისად წევრების წარდგენისა და დაკვირვების ჩატარების გარდა, პარტიები საარჩევნო ადმინისტრაციის არც ერთ სხვა ასპექტში არ უნდა ერეოდნენ. ამ პრიორიტეტის უზრუნველყოფას ხელს შეუწყობს საარჩევნო ორგანოებში მეტი პლურალიზმის დამკვიდრება და დამატებითი სწავლება.

18. დახმარება უნდა გაეწიოს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა გაიზარდოს მათი შესაძლებლობა



განახორციელონ მედიის ხელმისაწვდომობისა და გაშუქების წესების დაცვის მონიტორინგი.

## **II. ეროვნული უმცირესობები**

19. ეროვნული უმცირესობების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის და პროცესის შესახებ ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, მათი დასახლების ადგილებში საუბნო საარჩევნო კომისიების სახელმძღვანელოები, საარჩევნო ბიულეტენები, ოქმები და საჯარო ინფორმაციის შემცველი მასალები უნდა დამზადდეს უმცირესობების ენებზე ან რუსულად, უმცირესობების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე.

20. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში საჯარო ინფორმაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს ამ ადგილებში გავრცელებულ დარღვევებს, მაგალითად, ჯგუფურ ხმის მიცემას ან ხმის მიცემას სხვათა მაგივრად.

## **III. ადგილობრივი დამკვირვებლები**

21. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს დახმარება უნდა გაეწიოს მათ მიერ მომავალი საპარლამენტო არჩევნების კონტროლის გაძლიერების მიზნით.

## **IV. არჩევნების დღე**

22. მისაღებია ზომები ხმის მიცემის ფარულობის უკეთესად დასაცავად. სათანადო რესურსების არსებობის შემთხვევაში, უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო საფარველების და კაბინების ხარისხი.

23. საჭიროა ძალისხმევა საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინვალიდ ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ წაერთვათ.

## **V. აჭარა**

24. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემოს არსებობა სრულფასოვანი დემოკრატიული შეჯიბრისათვის. ყველა პარტიასა და კანდიდატს აჭარაში კამპანიის წარმოების თავისუფალი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. გაერთიანებების შექმნის, შეკრებისა და აზრის გამოხატვის უფლებები, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, დაცული უნდა იყოს. „საგანგებო მდგომარეობა,“ რომლის კანონიერება საეჭვოა, დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს და არ უნდა იქნეს ხელახლა შემოღებული.

25. აჭარის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტების გადაადგილების სრული თავისუფლება და მათი დაუბრკოლებელი მუშაობა. „რუსთავი 2-ის“ მაუწყებლობა აჭარაში დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს. ამავე დროს, აჭარის ტელევიზიამ უფრო გაწონასწორებულად და მეტი პასუხისმგებლობით უნდა გააშუქოს მოვლენები.

26. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და აჭარის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყონ აჭარაში ამომრჩეველთა რეგისტრაციის ხანგრძლივი პერიოდი, რათა კომპენსირებულ იქნეს ის ფაქტი, რომ აჭარის ხელისუფლებამ მოქალაქეებს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის რეგისტრაციის პროცესში მონაწილეობის საშუალება არ მისცა.

## **ი. ზოგადი რეკომენდაციები**

27. ხელისუფლებამ უნდა დაიცვას საქართველოში დემოკრატიული პროცესის ხელშეუხებლობა და ამ მიზნით სრულად აგებინოს პასუხი იმ ადამიანებს, რომლებიც დამნაშავენი არიან არჩევნებთან დაკავშირებული კანონების დარღვევაში. ის ადამიანები, რომლებმაც დაუშვეს გაყალბება ან ჩაიდინეს თავად ის, განხილულ უნდა იქნენ, როგორც შეუფერებელი კანდიდატები საარჩევნო კომისიებში მუშაობისათვის.

28. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში სახელმწიფომ სრული პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს, არსებულ მდგომარეობაში, საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა განაგრძოს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მხარდაჭერა. საარჩევნო თანამდებობის პირთა ხელფასების გადახდის მხრივ დახმარების შენარჩუნება გაზრდის მოტივაციას, გააუმჯობესებს მუშაობას და, ამავე დროს, კორუფციისაგან დაცულობას გააძლიერებს. მხარდაჭერა ასევე საჭიროა ისეთ გრძელვადიან და მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა ყოვლისმომცველი სტრატეგია ყველა პირად მონაცემთან და ჩანაწერთან, მათ შორის ამომრჩეველთა სიებთან, დაკავშირებით. საჭიროა მუდმივი სიფრთხილე იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ტექნიკური დახმარება კარგად იქნეს კოორდინირებული.

## **ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ**

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არის ეუთო-ს ძირითადი ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრული დაცვის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის პრინციპებისათვის ხელის შეწყობაში და (...) დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, გაძლიერებასა და დაცვაში და ასევე მთელს საზოგადოებაში შემწყნარებლობის დამკვიდრებაში.“ (1992 წლის ჰელსინკის დოკუმენტი).

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში განლაგებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი შეიქმნა როგორც თავისუფალი არჩევნების ოფისი 1990 წლის პარიზის სამიტზე და მუშაობა 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა ასახულიყო მისი მანდატის გავრცელება ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიზაციაზე. დღეს მას 100-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს.

**არჩევნებზე დაკვირვების** სფეროში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ევროპის წამყვანი ორგანიზაციაა. ყოველწლიურად, ის კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს ათასობით დამკვირვებელის მივლინებას, რათა შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება ეუთო-ს სივრცეში გამართული არჩევნები ადგილობრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. მისი უნიკალური მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესის ყველა ელემენტის დეტალურად შესწავლის საშუალებას იძლევა. დახმარების პროექტების მეშვეობით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი წევრ სახელმწიფოებს მათი საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესებაში ეხმარება.

**დემოკრატიზაციასთან** დაკავშირებული ოფისის საქმიანობა შეიცავს შემდეგ თემატურ სფეროებს: კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება, გადაადგილების თავისუფლება, ქალთა თანასწორუფლებიანობა და ადამიანების ტრეფიკინგი. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად ახორციელებს მიზნობრივი დახმარების რამოდენიმე პროგრამას, რათა გაადვილოს და გააუმჯობესოს სახელმწიფოების მიერ ეუთო-ს ვალდებულებების შესრულება და დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი აკვირდება წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ეხმარება მათ **ადამიანის უფლებათა** დაცვის გაუმჯობესებაში. ის ასევე აწეობს წელიწადში რამოდენიმე შეხვედრას, რათა განიხილოს წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი წევრ სახელმწიფოებს რჩევით ესმარება რომასა და სინტისთან დაკავშირებულ პოლიტიკის გატარებაში. ის ხელს უწყობს რომასა და სინტის თემებში შესაძლებლობების გაზრდასა და კავშირების განვითარებას და მხარს უჭერს რომას და სინტის წარმომადგენლების მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი ორგანოების საქმიანობაში. ოფისი ასევე მოქმედებს, როგორც სინტისა და რომას საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის ადგილი ეროვნული და საერთაშორისო აქტორებისათვის.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა ემყარება მჭიდრო კოორდინაციასა და თანამშრომლობას ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ეუთო-ს ორგანოებთან და ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ინტერნეტ-გვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).